განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

„აგროტექნოლოგია“

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სამცხე-ჯავახეთისსახელმწიფოუნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
04.04.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 25.04.2019

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **სამცხე-ჯავახეთისსახელმწიფოუნივერსიტეტი, საჯაროსამართლისიურიდიულიპირი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 424066977 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | აგროტექნოლოგია |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | აგროტექნოლოგიის მაგისტრი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | **აკრედიტირებული** |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ჯაფოშვილი, აიპ- აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან კინწურაშვილი, სსიპ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო დეკანოიძე, სსიპ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა სახელწოდებით ,,აგროტექნოლოგია“ ხორციელდება 2016 წლიდან.(აკრედიტაციის თარიღი:№9402.05.2014; №94).

აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა აგროტექნოლოგიაში, შეასწავლოს კვლევის თანამედროვე მეთოდები, აწარმოოს გამოყენებითი ხასიათის კვლევები სოფლის მეურნეობაში, შეძლოს ორიენტირდეს დინამიურად ცვლად გარემოში,გამოიყენოს ინფორმაციის ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდები დადამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა.

პროგრამა ანიჭებს აგროტექნოლოგიის მაგისტრის /MA of Agrotechnology ხარისხს. სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი)-120 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 18 კვირას. (15 კვირა - სააუდიტორიო მეცადინეობა, 2 კვირა -დასკვნითი გამოცდა, 1 კვირა - დამატებითი გამოცდა) ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას.

პროგრამაში აღწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მიზანი, სწავლის შედეგები, შედეგების რუქა და შეფასების მექანიზმი, სტუდენტის დასაქმების მიმართულები და პროგრამის სასწავლო გეგმა.

აკრედიტაციის პერიოდიდან დღემდე პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, გათვალისწინებული იქნა აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 3-4 აპრილს (ცენტრის დირექტორის 2019 წლის 28 მარტის ბრძანება, №224). ,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და მოხდა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ადმინისტრაციის, განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და ვიზიტის ბოლოს ადმინისტრაციის მიმართ გამოთქმული იქნა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიგნებები.

- **პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა

,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა:
**პირველი სტანდარტი:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
**მეორე სტანდარტი:** მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
**მესამე სტანდარტი:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
**მეოთხე სტანდარტი:** მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
**მეხუთე სტანდარტი:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**რეკომენდაციები**

1. ბევრ სალექციო კურსს არ გააჩნია წინაპირობა, რაც გამოსასწორებელია ზოგ შემთხვევაში მაინც.მაგ:სასწავლო კურსს ,,მცენარეთა დაცვა“ უნდა ჰქონდეს წინაპირობა კურსი „მცენარეთა ფიზიოლოგია“ შეიძლება „მიკრობიოლოგიაც“, ასევე სასწავლო კურსს „მრავალწლიანი კულტურების აგროტექნოლოგია“ -ს - დაშვების პირობად უნდა ჰქონდეს „აგრონომიის ინტეგრირებული კურსი“და სხვ.
2. სწავლის შედეგების რუქაში მითითებულია „ზოგადი მიკრობიოლოგია“, სასწავლო გეგმაში „მიკრობიოლოგია“. საჭიროა შესაბამისობაში მოვიდეს ეს ორი ცხრილი
3. სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად მითითებულია უცხოენოვანი ლიტერატურა, რაც შესასწორებებლია, ხოლო საკუთრივ უცხოენოვანი ლიტერატურა სილაბუსებში ნაკლებადაა გამოყენებული, რაც ვფიქრობთ ასევე გამოსასწორებელია.
4. პროგრამის სილაბუსებში ზოგჯერ არაადეკვატური ლიტერატურაა გამოყენებული. საჭიროა გამოყენებული ლიტერატურა იყოს ადექვატური და უფრო მრავალფეროვანი.
5. პროგრამაში არ უნდა იყოს მითითებული ისეთი მეთოდები, რომელებიც არ გამოიყენებიან სილაბუსებში. ზოგადად, სწავლება-სწავლის მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის შინაარსს
6. საჭიროა საბიბლიოთეკო რესურსების გაზრდა
7. საჭიროა დამატებით ლაბორატორიების მოწყობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე მიღებისთვის აბიტურიენტებისთვის ჩატარდეს გამოცდა სპეციალობაში, რომელიც იქნება დარგობრივი ცოდნის ინტეგრირებულად მიღების შანსი და აგრარული მიმართულების სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობა
- საჭიროა კიდევ მეტი კავშირები დამსაქმებლებთან.
- სასურველია თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი მტკიცებულებები შესაბამისობაში იყოს რეალობასთან. კერძოდ,თვითშეფასებიდან ამოსაღებია

დადასტურება „კურსდამთავრებულების გამოკითხვა“, ვინაიდან კურსდამთავრებულები პროგრამას არ ჰყავს.

- სასურველია პროგრამაში ჩანდეს რომ მხოლოდ ინგლისური ენა არაა სამაგისტრო პროგრამის დარგობრივი ენა და გერმანული ენაც იმავე სტატუსითაა, როგორც ინგლისური ენა. ასევე სასურველია, გარდა ქართული ენის ცოდნისა, გაწერილი იყოს დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის.
- სილაბუსებში ზოგჯერ გვხვდება სალექციო კურსების შინაარსის გადაფარვა, რაც მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას, როგორც შედგენისას ასევე თვითშეფასების დროს.
- სასურველია არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი შეეცვალოს სასწავლო კურსს „სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები“
- სასურველია უფრო მეტად იყვნენ ჩართული სტუდენტები კვლევით პროექტებში აკადემიურ პერსონალთან ერთად.
- სასურველია აკადემიური პერსონალი გააქტიურდეს კვლევით ნაწილში და გამოქვეყნებისას ყურადღება მიექცეს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციას. ასევე კარგი იქნება თუ გააქტიურდება დარგების მიხედვით პროგრამაში ჩართული პროფესურის საერთაშორისო კავშირები და საერთო პრობლემატიკაზე თანამშრომლობა.
- სასურველია პროგრამის ხელმძღვანელებმა გარე ექსპერტებს მიმართონ თხოვნით, შეფასება იყოს კრიტიკული, რომ შემდგომში მათ შეძლონ გამოთქმული მოსაზრებების პროგრამის განვითარებისთვის გამოყენება.

**საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ჩაშენებული პრაქტიკის გამოყენება სასწავლო კურსების მიხედვით
- სილაბუსის შეფასების რუბრიკაში, ნებისმიერ აქტივობას (შუალედური შეფასება, დასკვნითი გამოცდა), რომელიც ფასდება ქულით, აქვს მითითებული შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- მოწვეული პედაგოგების გადაადგილება საცხოვრებელი ადგილიდან უნივერსიტეტამდე უზრუნველყოფილია, სასწავლო ცხრილის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის სატრანსპორტო საშუალებებით და საერთო საცხოვრებლის ფართით.

**განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br>**აღწერადაშეფასება**<br>პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი მიზნები, რომელიც აღწერს თუ რა ტიპის სპეციალისტს მოამზადებს.<br>აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა აგროტექნოლოგიაში. შეასწავლოს აგროტექნოლოგიაში კვლევის თანამედროვე მეთოდები, განხორციელოს გამოყენებითი ხასიათის კვლევები სოფლის მეურნეობაში,ორიენტირდეს დინამიურად ცვლად გარემოში, გამოყენოს ინფორმაციის ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდები და დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევები. პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომლის მიხედვითაც პროგრამაითვალისწინებს რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები გაზიარებულიარეგიონის დამსაქმებლ ორგანიზაციებთან და გათვალისწინებულია მათი რეკომენდაციებიც, მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი კავშირები დამსაქმებლებთან. პროგრამა აქტუალურია, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მისი მიზნების რეალიზებით წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების დასაქმების ხელშესაწყობად,რადგან პროგრამა ორიენტირებულია იმ ქვედარგობრივი მიმართულების უფრო მეტად ჩაღრმავებისკენ, რომელიც სპეციფიკურია სამცხე-ჯავახეთისთვის.პროგრამის მიზნები მიღწევადია და ორიენტირებულია განვითარებისკენ. პროგრამის განვითარების მიზნით შექმნილია თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ქმედებებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ უნივერსიტეტის მისია;<br>○ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები;<br>○ შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;<br>○ პროგრამის ბიუჯეტი;<br>○ თანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულებები; |

| |
|---|
| ○ ინტერვიუდამსაქმებლებთან.<br>○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>საჭიროა კიდევ მეტი კავშირები დამსაქმებლებთან. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები<br>პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.<br>სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან. წარმოდგენილი კურიკულუმი შედგენილია თანმიმდევრულად და ლოგიკურად.<br>,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამას ჯერჯერობით არ ჰყავს კურსდამთავრებულები, (თუმცა თვითშეფასების ანგარიშში ერთ-ერთ მტკიცებულებად მითითებულია კურსდამთავრებულების გამოკითხვა). ამდენად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შემოფარგლულია აქტიური სტატუსის სტუდენტების და დამსაქმებლების გამოკითხვით. სტუდენტები თვლიან, რომ დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნებიან, რასაც პროგრამის ეფექტურობის და პროგრამის ფარგლებში განვითარებული უნარებისა და შეძენილი ცოდნის დამსახურებად მიიჩნევენ. |

| |
|---|
| დასაქმების ბაზარზე სამაგისტრო პროგრამის ორიენტულობის გასაზრდელად ხდება დამსაქმებელთა რეგულარული გამოკითხვა და ამ გამოკითხვებით, დგინდება თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა.<br>უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დამსაქმებელთან ერთად მხარდაჭერას უცხადებს პროგრამას და მზადაა შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული და პროგრამის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და მისი მიზნები;<br>○ ,,აგროტექნოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;<br>○ შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;<br>○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან;<br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;<br>○ ინტერვიუ სტუდენტებთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი მტკიცებულებები შესაბამისობაში იყოს რეალობასთან. კერძოდ, თვითშეფასებიდან ამოსაღებია დადასტურება „კურსდამთავრებულების გამოკითხვა", ვინაიდან კურსდამთავრებულები პროგრამას არ ჰყავს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოს და უცხოქვეყნისმოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიურიხარისხის მქონე პირს(საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც საერთო სამაგისტროგამოცდაზე ჩააბარა შესაბამისი Aტიპის ტესტი, გადალახა ტესტის მინიმუმ სამ ნაწილშიმინიმალური კომპეტენციის ზღვარი დამიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვაუფლება ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდასამცხე-ჯავახეთის სახელმწიფოუნივერსიტეტის ,,აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამაზე.<br>კონკურსანტი აბარებს გამოცდას ინგლისურ ენაში, რათა დადგინდეს უცხო ენის ცოდნის დონეან შეუძლია წარმოადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთისარსებობის შემთხვევაში). უცხოელი მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოსკანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა,რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. ამიტომ, უცხოელი მოქალაქეებიწარმოადგენენ საბუთს ქართული ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ, ან |

აბარებენ გამოცდასქართულ ენაში. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს უმაღლესისაგანმანათლებლო დაწესებულებების (რომელთა გაცემულ დიპლომს აღიარებს სახელმწიფო)და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის მაგისტრანტებმამობილობის წესით, თუ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ჩაბარებული აქვთ შესაბამისი ტიპისტესტი. მაგისტრატურაში ჩარიცხვის უფლება აქვს აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგრამ არჩეულ მიმართულებისაგან განსხვავებულ სპეციალობებში. უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.
ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა კონკურსანტმა დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამას განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. პროგრამაზე მიღების წინაპირობები, შესაბამისია პროგრამის შინაარსთან, გამჭვირვალეა, ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, თუმცა თუმცა მიგვაჩნია, რომ იმ პრობლემის გასანეიტრალებლად, რომ პროგრამაზე უფრო მეტად სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულები მოდიან, უპრიანი იქნება მისაღები გამოცდის შემოღება სპეციალობაში,რითც პოტენციურ სტუდენტებს შეექმნებათ ის მინიმალური ცოდნის მარაგი, რომელიც დაშვებას და შემდგომში სწავლის შედეგების უფრო მაღალ დონეს უზრუნველყოფს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაზე მიღების წინაპირობები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.sjuni.edu.ge;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია პროგრამაში ჩანდეს, რომ მხოლოდ ინგლისური ენა არაა სამაგისტრო პროგრამის დარგობრივი ენა და გერმანული ენაც  იმავე სტატუსითაა,  როგორც ინგლისური ენა. ასევესასურველია ,გარდა ქართული ენის ცოდნისა,  გაწერილი იყოს დაშვების პირობები უცხო ქვეყნის  მოქალაქეებისათვის.

სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე მიღებისთვის აბიტურიენტებისთვის ჩატარდეს გამოცდა სპეციალობაში, რომელიც იქნება დარგობრივი  ცოდნის ინტეგრირებულად მიღების შანსი და აგრარული მიმართულების სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობა

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| **შეფასება**<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **აღწერა და შეფასება**<br>აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია სჯსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლოპროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურის დაგეგმვისას არის გათვალისწინებული პროგრამის შინაარსი, მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს,თუმცა სასურველი იყო საკითხის ცოდნის მეტი სიღრმე. პროგრამის სტრუქტურაში ჩართული სასწავლო კურსებისთვის ძირითადში არ არის გათვალისწინებული დაშვების წინაპირობები. ბევრ სალექციო კურსს არ გააჩნია წინაპირობა, რაც გამოსასწორებელია ზოგ შემთხვევაში მაინც.მაგ:სასწავლო კურსს ,,მცენარეთა დაცვა“ უნდა ჰქონდეს წინაპირობა კურსი „მცენარეთა ფიზიოლოგია“ შეიძლება „მიკრობიოლოგიაც“, ასეეე სასწავლო კურსსმრავალწლიანი კულტურების აგროტექნოლოგია“-ს - დაშვების პირობად უნდა ჰქონდეს„აგრონომიის ინტეგრირებული კურსი“და სხვ.საჭიროა პროგრამა დაცული იყოს ტექნიკური შეცდომებისგან.მაგ. სწავლის შედეგების რუქაში მითითებულია „ზოგადი მიკრობიოლოგია“, სასწავლო გეგმაში „მიკრობიოლოგია“. საჭიროა შესაბამისობაში მოვიდეს ეს ორი ცხრილი.სასურველია არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განესაზღვრათ პრიორიტეტი ძირითადისკენ „სამეცნიერო წერის საბაზისო უნარების“ სასარგებლოდ.<br>სამაგისტრო პროგრამით „აგროტექნოლოგია“ აგრარული მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას ისე, რომ აქედან 75 კრედიტი მოდის სასწავლო, ხოლო 45 კრედიტი-კვლევით კომპონენტზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა „აგრაროტექნოლოგია“;<br>○ კურიკულუმისრუკა; |

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.sjuni.edu.ge;
- პროგრამისშემუშავებაშიჩართულიდაინტერესებულიპირებისმონაწილეობის მტკიცებულებები.

**რეკომენდაციები:**

1.ბევრ სალექციო კურსს არ გააჩნია წინაპირობა, რაც გამოსასწორებელია ზოგ შემთხვევაში მაინც.მაგ:სასწავლო კურსს ,,მცენარეთა დაცვა“ უნდა ჰქონდეს წინაპირობა კურსი„მცენარეთა ფიზიოლოგია“ შეიძლება „მიკრობიოლოგიაც“, ასევე სასწავლო კურსს„მრავალწლიანი კულტურების აგროტექნოლოგია“ -ს - დაშვების პირობად უნდა ჰქონდეს„აგრონომიის ინტეგრირებული კურსი“და სხვ.
2.სწავლის შედეგების რუქაში მითითებულია „ზოგადი მიკრობიოლოგია“, სასწავლო გეგმაში „მიკრობიოლოგია“. შესაბამისობაში მოვიდეს ეს ორი ცხრილი

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი შეეცვალოს სასწავლო კურსს „სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები“

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები აგებულია დასახული მიზნების მისაღწევად. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება მაგისტრატურის აღმწერის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვასწავლა-სწავლებისმეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. ვიზიტისას გამოიკვეთა,რომ ზოგიერთი სილაბუსში უფრო წარმოჩენილია სწავლის შედეგი,რომელიც პირველი საფეხურის კომპეტენციას უფრო შეესაბამება,მაგრამ განმახორციელებელი პერსონალის მიერ მოცემული იქნა განმარტება, რომ გათვალისწინებულია მისაღები კონტიგენტის სპეციალობის ცოდნის დონე,რომლებიც პროგრამაზე მოდიან როგორც სხვა დარგობრივი მიმართულების კურსდამთავრებულები. სილაბუსებში ზოგჯერ ხდება სალექციო კურსის შინაარსის გადაფარვა, რაც მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას, როგორც შედგენისას ასევე თვითშეფასების დროს. პროგრამის სილაბუსებში შეინიშნება თანამედროვე ლიტერატურის სიმწირე. სასწავლო კურსებში ხშირად ლიტერატურა არაადექვატურია. უცხოენოვანი ლიტერატურა სილაბუსებში ნაკლებადაა, თუმცა გამოყენებულია,მაგრამ ისინი მეტწილად მითითებულია ძირითად ლიტერატურად. საჭიროა სილაბუსების ლიტერატურით გამრავალფეროვნება.

მიუხედავად აღნიშნულისა,ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა მეტწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს,სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა ,, აგროტექნოლოგია";
- სასწავლო კურსებისსილაბუსები;
- ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომელთან, ბიბლიოთეკის კატალოგი;
- მაგისტრანტთა გამოკითხვის შედეგები.
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**

1. უცხოენოვანი ლიტერატურა სილაბუსებში ნაკლებადაა და სასურველია სილაბუსებში გაიზარდოს მისი წილი.

| |
|---|
| 2. სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად ზოგიერთ შემთხვევაში მითითებულია უცხოენოვანი ლიტერატურა, რაც გადასატანია დამხმარე ლიტერატურაში.<br><br>3. პროგრამის სილაბუსებში შეინიშნება თანამედროვე ლიტერატურის სიმწირე. საგნების სილაბუსებში ზოგჯერ შეუსაბამო ლიტერატურაა გამოყენებული. რეკომენდირებულია გამოყენებული ლიტერატურა იყოს შესაბამისი და უფრო მრავალფეროვანი. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>ზოგჯერ სილაბუსებში ხდება სალექციო კურსებისს შინაარსის გადაფარვა, რაც მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას, როგორც შედგენისას ასევე თვითშეფასების დროს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის მიხედვით პირველი სასწავლო კურსის მეორე სემესტრში გათვალისწინებულია თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/ კოლოკვიუმი, რომელიც მოცავს 5 კრედიტს. შემდეგ სემესტრში კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია 10 კრედიტით, ხოლო ბოლო სემესტრი მთლიანად ეთმობა კვლევას და სამაგისტრო ნაშრომის დასრულებას, 30 კრედიტი. შემადგენელ რიგ კომპონენტებში (სილაბუსებში) გათვალისწინებულია ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული |

| |
|---|
| უნარების განვითარებას. ასევე სასწავლო კომპონენტების ნაწილი გულისხმობს საკურსო სამუშაოების და პროექტების შესრულებას, რომელშიც გათვალისწინებულია დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ელემენტები. მისი შესრულებისას სტუდენტი იყენებს მის მიერ მიღებულ ცოდნას, ეძებს მასალებს და ლიტერატურას; ახდენს მოპოვებული ინფორმაციის ლოგიკურ სისტემატიზაციას და დამოუკიდებლად გამოაქვს დასკვნები. საკურსო სამუშაოების და პროექტების შესრულებისას სტუდენტი სწავლობს წყაროების ანალიზს და კვლევის შედეგების სწორად გადმოცემას; უვითარდება პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარი.თუმცა აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსებში ნაკლებადაა გამოყენებული ლაბორატორიული სამუშაოები, რომლის ნაკლებობაც მეტწილად კომპენსირებულია ჩაშენებული პრაქტიკით, სასურველია უფრო მეტად იყვნენ ჩართული სტუდენტები კვლევით პროექტებში აკადემიურ პერსონალთან ერთად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ შიდა, საუნივერისტეტო სამეცნიერო გრანტში მონაწილე სტუდენტთა სია დაფუნქციები;<br>○ ფერმერებთან დადებული ხელშეკრულებები, კვლევითი სამუშაოებისშესასრულებლად, სადაც ჩართულნი იქნებიან ,,აგროტექნოლოგიის“ მაგისტრანტები;<br>○ ხელშეკრულება/მემორანდუმი პრაქტიკის ობიერქტებთან;<br>○ სამაგისტრო დისერტაციის (ნაშრომის) მომზადების ინსტრუქცია.<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>○ ინტერვიუ სტუდენტებთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია უფრო მეტად იყვნენ ჩართული სტუდენტები კვლევით პროექტებში აკადემიურ პერსონალთან ერთად. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>ჩაშენებული პრაქტიკის გამოყენება სასწავლო კურსების მიხედვით |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.5სწავლება-სწავლის მეთოდები |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "აგროტექნოლოგიის" სასწავლო კურსები მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით, ატარებს კომპლექსურ ხასიათს, გამოყენებული მეთოდები მეტწილად შესაბამისობაშია პროგრამასთან. დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა,პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა,გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი,ინდუქციური მეთოდი,დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული,პრაქტიკული მუშაობა,ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);<br>○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე;<br>○ სტუდენტთა გამოკითხვები;<br>○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან<br>ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>პროგრამაში არ უნდა იყოს მითითებული ისეთი მეთოდები, რომელებიც არ გამოიყენებიან სილაბუსებში. ზოგადად, სწავლება-სწავლის მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის შინაარსს. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

| |
|---|
| ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
